9296/3-55/21 2 07092021

9296/3-55/21
07-09-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ ქალაქ რუსთავში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, ვიმყოფებოდი ერთ-ერთ მრავალშვილიან ოჯახში, კერძოდ მანანა ძამანაშვილი (პ/ნ 35001047643), მცხოვრები მე-17 მკრ. N39 ბ. 11-ში. ოჯახი იმყოფება უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში და საჭიროებენ დახმარებას, რასაც ასევე ადასტურებენ მეზობლები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შესაბამისი სამსახურების მიერ აღნიშნული ოჯახის გადამოწმებული და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო ლაცაბიძე

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030400519649521

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/9399 **14 / სექტემბერი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ნინო ლაცაბიძეს

ქალბატონო ნინო ,

თქვენი მიმდინარე წლის 7 სექტემბრის N 9296/3-55/21 (დოკ. N 01/13806) წერილზე , რომელიც ეხებოდა მანანა ძამანაშვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეების საკითხს გაცნობებთ, რომ 2019 წლის 21 ნოემბერს აღნიშნულ ოჯახში (საიდ. კოდი: 090606910843) ვიზიტი განახორციელა სოციალური მომსახურების ცენტრის უფლებამოსილმა პირმა.

ოჯახის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, შეივსო "ოჯახის დეკლარაცია" (დეკლარირებული ინფორმაცია დადასტურებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით).

დეკლარაცია დამუშავდა "სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N758 დადგენილების შესაბამისად. ოჯახის სარეიტინგო ქულა ძალაში შევიდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით 2019 წლის 21 დეკემბერს და შეადგინა 18550 ერთეული.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მანანა ძამანაშვილის ოჯახი სარგებლობს ყოველთვიური საარსებო შემწეობით თვეში 760 ლარის ოდენობით.

დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენი წერილი მასში დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინებით გადაიგზავნა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე